სადისციპლინო კომისიის გადაწყვეტილება

მატჩი	პატარძეულის „ვეფხვები“ - წყალტუბოს „დინოზავრი“		
გუნდი	წყალტუბოს „დინოზავრი“	შეჯიბრი	I ლიგა
მატჩის თარიღი	16/12/2023	მატჩის ადგილი	თბილისი, ვაზისუბანი
რეგულაცია	სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია.		

დარღვევის აღწერა			
სტატუსი	მოთამაშე	დაბადების თარიღი	24/01/2001
სახელი, გვარი	იაგო ხაბულიანი		
☒მსაჯი ☐საითინგ კომისარი	საბა მახარაძე	დარღვევა	☐ აღიარებულია ☒ უარყოფილია
დარღვევა	9.28 (ბ) მოთამაშემ არ უნდა შეურაცხყოს სიტყვიერად მატჩის ოფიციალური პირები. სიტყვიერი შეურაცხყოფა მოიცავს შეურაცხყოფას რელიგიის, კანის ფერის, ეროვნული ან ეთნიკური წარმოშობის, სექსუალური ორიენტაციის მიხედვით.		☒ წითელი ბარათი ☐ საითინგი ☐ სხვა თუ „სხვა“ აღწერეთ :

განხილვის დეტალები			
განხილვის თარიღი	19/12/2023	განხილვის ადგილი	სრკ-ს ოფისი
თავმჯდომარე	მირიან თავზარაშვილი		
სადისციპლინო კომისიის წევრები	ვახტანგ სამხარაძე, ედუარდ ნაჭყებია, ირაკლი ჩიქავა		
დამრღვევის დასწრება	☒ კი(დისტანციური) ☐ არა	სხვა დამსწრეები : ☐ კი ☐ არა	
დამრღვევის წარმომადგენელი		აღნიშნეთ ვინ	
განხილვამდე დამრღვევისთვის მიწოდებული დოკუმენტები/მასალები	მატჩის მსაჯის, საბა მახარაძის წითელი ბარათის ოქმი; მატჩის მსაჯის, საბა მახარაძის საითინგი; მატჩის მეთვალყურის, გიორგი ჯოხიას საითინგი.		

დარღვევასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის და დამხმარე მასალების ძირითადი ელემენტები (მატჩის ოფიციალური პირების და/ან პიროვნებების მოხსენებები, აუდიო/ვიდეო მასალა).

1. მატჩის მსაჯის, საბა მახარაძის წითელი ბარათის ოქმი;
2. მატჩის მსაჯის, საბა მახარაძის საითინგი;
3. მატჩის მეთვალყურის, გიორგი ჯოხიას საითინგი.

დარღვევის სხვა მხარდამჭერი მასალები (მათ შორის სამედიცინო პირის მოხსენება)

არა

დამრღვევის/წარმომადგენელის განცხადება

წყალტუბოს „დინოზავრი“-ს მოთამაშე, იაგო ხაბულიანი :

1. **დაეთანხმა** მატჩის ოფიციალური პირების გადაწყვეტილებებზე აპელირების ფაქტებს, რის გამოც ის ორჯერ იქნა გაფრთხილებული მსაჯის მიერ, ხოლო მესამედ აპელირების ფაქტს მოჰყვა მისი ყვითელი ბარათით მოედნიდან გაძევება.
2. **არ დაეთანხმა** მატჩის მეთვალყურის, გიორგი ჯოხიას საითინგში აღნიშნულ ფაქტს იმის შესახებ, რომ მან სიტყვიერი შეურაცხყოფა (დედის გინება) მიაყენა მატჩის მსაჯს. მისი განმარტებით მან შეიგინა უმისამართოდ, არ ახსოვს რა სიტყვებით იგინებოდა და კატეგორიულად უარყო მსაჯის მიმართულებით გინება.
3. **არ დაეთახმა** მსაჯის გადაწყვეტილებას, მისი ქმედების წითელი ბარათის ტოლფასად შეფასების შესახებ.

იაგო ხაბულიანმა, აღიარა დისციპლინარული დარღვევა, წუხილი გამოთქვა მომხდარის გამო და მოიბოდიშა სადისციპლინო კომისიის წინაშე.

ფაქტობრივი მოცემულობა და მსჯელობა

1. 16/12/2023 გაიმართა I ლიგის XI ტურის მატჩი პატარძეულის „ვეფხვები“-სა და წყალტუბოს „დინოზავრს“ შორის.
2. მატჩის მსაჯის, საბა მახარაძის წითელი ბარათის ოქმის და საითინგის მიხედვით (ციტირება) – „თამაშის განმავლობაში „წყალტუბოს“ 14 ნომერი აპელირებდა ჩემს გადაწყვეტილებებზე, პირველ შემთხვევაში დაისაჯა ჯარიმის 10 მეტრით გადაწევით, მეორე შემთხვევაში, როგორც კაპიტანი, ასევე თვითონ გავაფრთხილე სიტყვიერად, რომ შემდეგი მსგავსი ქცევა დაისჯებოდა უფრო მკაცრი სანქციით. თამაშის 72 წუთზე, უკმაყოფილო იყო ჩემი გადაწყვეტილებით, რაზეც ჰქონდა რეაქცია ხელების გაშლით და ხმამაღლა, ყვირილით გამოხატავდა უკმაყოფილებას, რის გამოც მივეცი ყვითელი ბარათი. მოედნიდან გასვლის შემდეგ 2 წუთში მატჩის კომისარმა გიორგი ჯოხიამ გამაჩერებინა თამაში და მითხრა, რომ 14 ნომერი მოედნის დატოვებისას იგინებოდა ჩემი მისამართით, რის გამოც მივეცი წითელი ბარათი. თამაშის დასრულების შემდეგ, მოვიდა ჩემთან და აგრესიული ტონით ცდილობდა მიზეზის გარკვევას, რაზეც პასუხი არ გავეცი და თავისმა გუნდელებმა გაარიდეს სიტუაციას. ამის შემდეგ ავუხსენი კაპიტანს წითელი ბარათის მიცემის მიზეზი და სხვა გართულება აღარ მოჰყოლია.“

3. მატჩის მეთვალყურის, გიორგი ჯოხიას საითინგის მიხედვით (ციტირება) - თამაშის მეორე ტაიმში მთავარმა მსაჯმა საბა მახარაძემ, წყალტუბოს მოთამაშეს N14 იაგო ხაბულიანს აპელირების გამო აჩვენა ყვითელი ბარათი. რის შემდეგაც მოედნის დატოვების მომენტში იაგო ხაბულიანმა მიმართა თავის გუნდელებს „რაზე მომცა ყვითელი ამ მსაჯის დედას შ.....“. რის შედეგაც მთავარ მსაჯს გავაჩერებინე თამაში ავუხსენი სიტუაცია და საბა მახარაძემ ყვითელი ბარათი გადააკეთა წითელ ბარათად, რასაც მოყვა აპელირება „მოდი ამიხსენი რაზე მაძლევ მაგ ბარათს“ „ისწავლე მსაჯობა“.

მსჯელობა

სადისციპლინო კომისიამ გაითვალისწინა ფაქტობრივი მოცემულობა იმის შესახებ, რომ „დინოზავრი“-ს მოთამაშე იაგო ხაბულიანი თამაშის განმავლობაში ორჯერ იქნა გაფრთხილებული მსაჯის გადაწყვეტილებებზე აპელირების გამო, ხოლო მესამე აპელირების ფაქტს მოჰყვა მისი ყვითელი ბარათით გაძევება. მხარი დაუჭირა მატჩის მეთვალყურის საითინგში აღნიშნულ გარემოებას, კერძოდ დედის გინებას მსაჯის მიმართ და სხდომაზე წარმოდგენილი ფაქტობრივი გარემოებების, სავარაუდო დამრღვევი მოთამაშის გამოკითხვის, განხილვის და მსჯელობის შემდეგ, დადგენილად ცნო წყალტუბოს „დინოზავრი“-ს მოთამაშის, იაგო ხაბულიანის მხრიდან 9.28 (ბ) (მატჩის ოფიციალურ პირთა სიტყვიერი შეურაცხყოფა) წესის დარღვევა.

გადაწყვეტილება			
დარღვევის სტატუსი:	☒ **მიღებულია**	☐ **უარყოფილია**	☐ **სხვა (აღწერეთ)**

სანქციირების პროცედურა
სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციის 5.1 პუნქტით განსაზღვრული **დარღვევის სიმძიმის შეფასება**
☒ **შეგნებული/წინასწარ განზრახული** ☐ **წინდაუხედავი/გაუფრთხილებელი**
დარღვევის სახის დადგენის საფუძველი
დამრღვევმა მოთამაშემ, მისი ყვითელი ბარათით გაძევების გამო შეგნებულად შეაგინა მსაჯს
დამრღვევის მოქმედების სიმძიმე:
სიტყვიერი შეურაცხყოფა იყო მძიმე (დედის გინება), არ იყო პირდაპირი.
მოთამაშის ქმედების ბუნება, მ.შ. რით მოქმედებდა მოამაშე (მუშტი, თავი, იდაყვი, მხარი, მუხლი, ფეხი):
ჰქონდა თუ არა ადგილი პროვოცირებას:
სურდა თუ არა მოთამაშეს თავისი ქმედებით სამაგიეროს გადახდა და როგორ იყო ეს დროში განაწილებული:
მოთამაშის მხრიდან ჰქონდა თუ არა ადგილი თავდაცვას (ანუ, მოუწია თუ არა მას გარკვეული ძალის გამოყენებით საკუთარი თავის დაცვა):
რა გავლენა მოახდინა მოთამაშის ქმედებებმა დაშავებულზე (მაგ. ტრავმის სიმძიმე, დაშავებული მეტოქის მოედნიდან გაყვანა):
დარღვევის გავლენა მატჩის მსვლელობაზე
მატჩის მეთვალყურემ თამაში გააჩერებინა მსაჯს, აცნობა მას სიტყვიერი შეურაცხყოფის შესახებ, რის შემდეგაც მსაჯმა დამრღვევ მოთამაშეს (რომელიც ყვითელი ბარათით იყო გაძევებული მის გადაწყვეტილებებზე აპელირების გამო) უჩვენა წითელი ბარათი.
დაშავებულის დაცულობის ხარისხი
დარღვევის ფაქტში ჩართულობის დონე და წინასწარი განზრახვა;
შესრულდა მოთამაშის მიერ განზრახული ქმედება თუ მცდელობით შემოიფარგლა;

დარღვევასთან დაკავშირებული მოთამაშის ქცევის სხვა ნებისმიერი ასპექტი.

დარღვევის ხარისხის შეფასება. **სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციების დანართი 1 -ის და/ან დანართი 4-ის მიხედვით**
ქვედა ზღვარი კვირა. **შუა ზღვარი12(თორმეტი)კვირა** ზედა ზღვარი კვირა*

*ზედა ზღვარით შეფასების დროს სადისციპლინო კომისია კვირების რაოდენობას განსაზღვრავს ზედა და მაქსიმალურ ზღვარს შორის.

ზედა ზღვარის მინიჭების განმარტება:

შესაბამისი შემამსუბუქებელი ფაქტორები:

სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 5.7

დამრღვევის მიერ დანაშულის/შეცდომის აღიარება და აღიარების დრო; (5.7ა))	**დადებითი სადისციპლინო ისტორია და/ან დადებითი რეპუტაცია;(5.7ბ))**
	სუფთა სადისციპლინო ისტორია
მოთამაშის ახალგაზრდობა და გამოუცდელობა;(5.7გ))	**ქცევა განხილვამდე და განხილვის პროცესში; (5.7დ))**
ახალგაზრდა	
დამრღვევის მიერ ჩადენილი საქციელის გამო სინანულის გრძნობის ე.წ. მსხვერპლისთვის დემონსტრირება და ამ დემონსტრაციის დრო;(5.7ე))	**ნებისმიერი სხვა შემამსუბუქებელი გარემოება (5.7ვ))**

დაკლებული კვირების რ-ბა: 2 (ორი) კვირა/თამაში

კვირების დაკლების მიზეზის მოკლე აღწერა :

შესაბამისი დამატებითი დამამძიმებელი ფაქტორები:

სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 5.5

მოთამაშის / პიროვნების უარყოფითი სადისციპლინო ისტორია; (5.5 ა))
არა
დარღვევისგან თავის შეკავების ვალდებულება; (5.5 ბ))
არა
ნებისმიერი სხვა დამამძიმებელი გარემოება; (5.5 გ))
არა

დამატებითი კვირების რ-ბა: არა

სანქცია

- **სანქცია მოიცავს წითელი ბარათით ან საითინგ კომისარის საითინგით შეყოვნებული(სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 3.6) მოთამაშეების/პიროვნებების შეყოვნების პერიოდში შესულ თამაშ(ებ)ს/პერიოდს.**

დისკვალიფიკაცია (კვირა/პერიოდი) **სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 6.1 ა) - ე)**	10 კვირა/თამაში	☐ **წითელი ბარათი საკმარისია**
დისკვალიფიკაციის დაწყების თარიღი	20/12/2023	
დისკვალიფიკაციის დამთავრების თარიღი. დისკვალიფიკაციის პერიოდში შესული თამაშები.	22/04/2023 (I ლიგის სათამაშო ცხრილის მიხედვით)	
ფულადი ჯარიმა და გადახდის ვადა. სრკ-ს სადისციპლინო რეგულაცია 9.4. ბ)	არა	
სხვა შეზღუდვები/გაფრთხილება	არა	

თავმჯდომარე ხელმოწერა	მირიან თავზარაშვილი	**თარიღი**	20/12/2023

- **გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სრკ-ს სააპელაციო კომისიაში, გადაწყვეტილებაზე დაფიქსირებული თარიღიდან 72 (სამოცდათორმეტი) საათის განმავლობაში. სრკ-ს სააპელაციო კომისიის დებულება** [საპელაციო-კომისიის-დებულება.pdf (rugby.ge)]